განმარტებითი ბარათი

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე”

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

2017 წლის პირველი იანვრიდან „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე ამოქმედდა ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგს. 2017 წლის განმავლობაში განხორციელებული თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის მონიტორინგის განმავლობაში გამოვლინდა გარკვეული სირთულეები, რომელთა აღმოფხვრა და დახვეწა აუცილებელია იმისათვის, რომ დაიხვეწოს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი. 2017 წლის განმავლობაში დაგროვილმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ დისკრეციის არარსებობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქმნის მთელ რიგ სირთულეებს და მონიტორინგის განმახორციელებელ უწყებას უწევს ხისტი გადაწყვეტილებების მიღება, მაშინ როცა რეალურად დეკლარაციაში არსებული დარღვევა თავისი შინაარსით არ წარმოადგენს არც კორუფციულს და არც არსებითს და შეიძლება ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში ტექნიკური დარღვევის ხასიათის მატარებელია ან/და განპირობებულია გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომით. ამდენად, აღნიშნული პრაქტიკა ნათელს ხდის ფაქტს, რომ საჭიროა ისეთი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც აღმოფხვრის მსგავს ხარვეზებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილება და ის რეგულაციები, რომლებიც შეეხება დეკლარაციების მონიტორინგს გახდეს უფრო მოქნილი და შესაბამისობაში მოვიდეს პრაქტიკასთან. ასევე, აღნიშნული ცვლილების მიზანია სამომავლოდ გაუმჯობესდეს დეკლარირების პროცესი და დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები გახდეს უფრო მეტად სამართლიანი და ლოგიკური.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დეკლარაციის შევსების მუხლში, რომლის თანახმადაც იცვლება რეგულაცია, რომელიც აწესებდა მონაცემების, თანამდებობის

პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიშის ან/და შენატანის, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს თანამდებობის პირს ან მისი ოჯახის წევრს, შესახებ დეკლარაციის შევსების დღის მდგომარეობით დაფიქსირებას. ნაცვლად აღნიშნულისა, თანამდებობის პირი ვალდებული იქნება მითითებული ინფორმაცია, დეკლარაციაში შეიყვანოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესით, ანუ დეკლარაციაში ინფორმაცია საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიშის ან/და შენატანის, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს თანამდებობის პირს ან მისი ოჯახის წევრს, შესახებ დააფიქსიროს დეკლარაციის შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.

კანონპროექტის თანახმად დეკლარაციის მონიტორინგის შედეგებს ემატება „დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობა.“ აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პრაქტიკაში გამოვლინდა ხშირი შემთხვევები, როდესაც დარღვევის ხარისხი იმდენად არაარსებითი იყო, რომ მისი მიჩნევა ისეთ გადაცდომად, რომლისათვისაც სანქციად უნდა გამოყენებულიყო 1000 ლარით დაჯარიმება აშკარად არ შეესაბამებოდა არც მონიტორინგის მიზნებს და არც სამართლიანობის პრინციპებს. თუმცა, დისკრეციის არარსებობის პირობებში მსგავსი დარღვევებიც მიიჩნეოდა დეკლარაციაში არასრული და არასწორი მონაცემების ასახვად და იწვევდა დეკლარაციის უარყოფითად შეფასებას. ცვლილება შესაძლებელს გახდის გაჩნდეს დამატებითი ალტერნატივა და მონიტორინგის განმახორციელებელმა დაწესებულებამ მიიღოს გადაწყვეტილება დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ. პროექტი ითვალისწინებს იმ საფრთხეებს, რაც შეიძლება განპირობებულ იქნეს, სრული დისკრეციის მინიჭების შემთხვევაში და ამიტომაც ადგენს იმ კონკრეტულ შემთხვევებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მონიტორინგის განმახორციელებელი დაწესებულება იქნება უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ. ამ შემთხვევაშიც პროექტის შექმნისას გათვალისწინებული იქნა 2017 წლის თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი პრაქტიკული სირთულეები და ის დარღვევები, რომლებიც თავისი შინაარსით აშკარად არაარსებით ხასიათს ატარებს და აღნიშნულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ შესაბამისი ასახვა პოვა კანონპროექტში.

კანონპროექტით ასევე იცვლება დეკლარაციაში არასწორი და არასრული მონაცემების შეყვანის შემთხვევაში დეკლარაციის უარყოფითად შეფასებისას განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა. სამართლიანობის პრინციპის სრულყოფილად უზრუნველყოფის მიზნით, ნაცვლად 1000 ლარით დაჯარიმებისა, თანამდებობის პირი დაჯარიმდება თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი პროცენტული ოდენობით, კერძოდ, 25%-ის ოდენობით. თუმცა, ასევე დადგენილია ჯარიმის მინიმალური ოდენობა, რაც იქნება 500 ლარი.

აღნიშნული ცვლილებით არ ხდება არაარსებითი დარღვევებისათვის თანამდებობის პირის დაჯარიმება. თუმცა, ეს ცდომილებები მაინც მიიჩნევა დარღვევად და მათი გამოვლენის შემთხვევაში მოხდება თანამდებობის პირის გაფრთხილება. პროექტი ითვალისწინებს, რომ არაარსებითი დარღვევის მომდევნო მონიტორინგის პროცესში გამოვლენის შემთხვევაში თანამდებობის პირის დეკლარაცია შეფასდება უარყოფითად და პირი დაექვემდებარება დაჯარიმებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ, კანონის 18[1] მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა ნაცვლად 1000 ლარისა, განისაზღვრება შესაბამისი თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგოს 25%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარით. გავლენის ოდენობა დამოკიდებულია შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევათა რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

სამართლიანობის პრინციპის სრულყოფილად უზრუნველყოფის მიზნით, ნაცვლად 1000 ლარით დაჯარიმებისა, თანამდებობის პირი დაჯარიმდება თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი პროცენტული ოდენობით, კერძოდ, 25%-ის ოდენობით. თუმცა, ასევე დადგენილია ჯარიმის მინიმალური ოდენობა, რაც იქნება 500 ლარი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტის თანახმად, კანონის 18[1] მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირი ნაცვლად 1000 ლარისა, დაჯარიმდება თანამდებობრივი სარგოს 25%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ასეთი არ არსებობს.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: გიორგი კახიანი, გურამ მაჭარაშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ალექსანდრე ქანთარია, პაატა მხეიძე, მერაბ ქვარაია, ოთარ ჩრდილელი, შალვა კიკნაველიძე, ილია ნაკაშიძე, კობა ნაკაიძე, ალექსანდრე ერქვანია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: გიორგი კახიანი, გურამ მაჭარაშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ალექსანდრე ქანთარია, პაატა მხეიძე, მერაბ ქვარაია, ოთარ ჩრდილელი, შალვა კიკნაველიძე, ილია ნაკაშიძე, კობა ნაკაიძე, ალექსანდრე ერქვანია.